შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (9.623)

22-29 მარტი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გილოცავთ!

21 მარტი – ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით, საქართველოში მოღვაწე ჟურნალისტებს გილოცავთ პროფესიულ დღეს. გისურვებთ თქვენს საქმიანობაში წარმატებასა და ობიექტურობას. სწორედ თქვენი ობიექტური მუშაობით შეუწყობთ ხელს დემოკრატიის განვითარებას ქვეყანაში.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეები
ნიკოლოზ ჯანიაშვილი

დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება, სიტყვისა და აზროვნების თავისუფლებაა. უკვე ათეული წლებია, საქართველოში ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს და ხალხის მოთხოვნაც სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებასთან ერთად თავისუფალი, შეუზღუდავი მედია-საშუალებებია. მოსახლეობის ერთ-ერთი დაკვეთა სწორედ მედია-საშუალებებიდან ჯანსაღი აზრის მოსმენაა. თავისუფალი ჟურნალისტიკა არაერთხელ მოექცა გარკვეული წნეხის ქვეშ, მათ შორის წინა ხელისუფლების პირობებშიც... სწორედ თავისუფალი აზრისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ არსებულ ხელისუფლებას იმიჯი არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც შეურყია, საბოლოოდ კი მისი მმართველობის დასასრულიც გამოიწვია.

ჯანსაღ აზრს ყოველთვის აყალიბებს ეთიკური პრინციპების ერთგული და მოუსყიდავი ჟურნალისტიკა, რომლისთვისაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. ასეთი გახლავთ დედოფლისწყაროელი ჟურნალისტების პოზიციაც, რომლებიც მუდმივად ვცდილობთ, ვიყოთ დინამიურებიც და ამავე დროს გამოვხატოთ კიდეც ჩვენი პოზიცია ნებისმიერი მოვლენის მიმართ, და რაც ყველაზე მთავარია, ვიყოთ მიუკერძოებლები და ობიექტურები.

გაიხსნება თუ არა ჟვანიას გარდაცვალების საქმე?!

ამ დღეებში ინტერნეტით გავრცელებულმა კადრებმა, რომლებიც საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრებზე აღნიშნულ დაზიანებებს ასახავს, საზოგადოების მაღალი ინტერესი გამოიწვია. ეს ხომ ის საქმეა, რომლის გამოძიებასაც მოსახლეობა წლებია, ელის, თუმცა, ჯერ-ჯეროობით უშედეგოდ. კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია უკვე გაჩნდა. ოპოზიციის, ამ შემთხვევაში „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ამ თემის წამოწევას ექსპრემიერ ივანიშვილსა და პრეზიდენტ მარგველაშვილს შორის არსებული დაპირისპირების გაღაფარვის მცდელობად აფასებენ, ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს ერთხელ და სამუდამოდ ნათელი უნდა მოეფინოს.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და რაულ იუსუპოვის გარდაცვალების საქმეზე, პროკურატურამ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილი გამგე ლევან ჩაჩუა დააკავა. მას ბრალად სამსახურებრივი გულგრილობა ედება.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2005 წლის 03 თებერვალს, ლევან ჩაჩუამ ზურაბ ჟვანიასა და რაულ იუსუპოვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გვამების გამოკვლევისას გამოიჩინა გულგრილობა და არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა.

„კერძოდ, სრულყოფილად არ აღწერა გვამებზე არსებული დაზიანებები მაშინ, როდესაც გვამებს აშკარად აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები. ვინაიდან წარმოებული გამოძიებით ეჭვქვეშ დადგა ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის ნამდვილობა, საქმეზე აუცილებელი გახდა ახალი ექსპერტიზის ჩატარება ზ.ჟვანიასა და რ. უსუპოვის გარდაცვალების რეალური მიზეზისა და გარემოებების დადგენის მიზნით“, - განაცხადეს მთავარ პროკურატურაში.

ლევან ჩაჩუას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია დააკავა.

პროკურატურის ინფორმაციით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა შესასრულებლად სავალდებულო „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის დაცვას არ შეეძლო მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მიხეილ ძაძამიამ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღმოჩენილი იქნა გარდაცვლილი.

ამავდროულად, პროკურატურის ცნობით, მიხეილ ძაძამიამ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად, არ შეატყობინა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ.

„ზემოაღნიშნულით მ. ძაძამიამ ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება“, - განაცხადეს პროკურატურაში.

მიხეილ ძაძამიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მე-2 ნაწილით, რაც 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგა, არასამთავრობო ორგანიზაციები ამ სტრუქტურისგან გაცილებით მეტს მოითხოვენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუფოვის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. საია მოუწოდებს პროკურატურას, გამოიყენოს ყველა ძალისხმევა, რომ აღნიშნული საქმე დროულად, ეფექტურად და მაღალ პროფესიულ დონეზე იქნეს გამოძიებული.

„2005 წლის 3 თებერვალს, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუფოვის გარდაცვალების დღესვე, საზოგადოებაში მთელი რიგი კითხვები გამოძიების ოფიციალურ ვერსიასთან (უბედური შემთხვევა, გაზით გაგუდვა) დაკავშირებით გაჩნდა, რაზეც სამართალდამცავ ორგანოებს ამ დრომდე არ გაუციათ კომპეტენტური და დამაჯერებელი პასუხები. საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია გამოძიება მაღალ პროფესიულ დონეზე, ობიექტურად და ამ საქმის პოლიტიზირების, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების, გამოძიების უახლოეს დღეებში დასრულების მრავალჯერადად დაანონსების გარეშე წარიმართოს. ეს აუცილებელია, რათა არ დაზიანდეს გამოძიების ინტერესები“. „პროკურატურის ოფიციალური ვერსიის თანახმად, უცნობი პირის მიერ გავრცელებული ფოტოები, არის ის მასალა, რაც 2012 წლის შემდეგ აღმოჩენილ იქნა ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელევას სეიფში. თუ ეს ფოტოები ავთენტურია და მათზე მართლაც არის აღბეჭდილი ის დაზიანებები, რაც წლების წინ ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაში არ არის ასახული, ცხადია, ჩნდება დამატებითი კითხვები როგორც ექსპერტების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი წარმომადგენლების მიმართ. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ პროკურატურას ლ.ჩაჩუას მიმართ გაუჩნდა კითხვები და ამ მიმართულებით გამოძიება დაიწყო. თუმცა, საინტერესოა, კონკრეტულად როდის

(გაგრძელება გვ. 4)

გამგეებელი კულტურის მუშაკების პრობლემებს გაეცნო გვ. 3

ინსტრუქცია – როგორ დავიბრუნოთ უკან 360 ლარი გვ. 5

თვითმკვლელობა – გათხოვების სანაცვლოდ გვ. 7

FBI-ს დასკვნა ზურაბ ჟვანიას საქმეზე გვ. 4

C M Y K

გამწვანების კამპანია „მწვანე მომავალი“ დაიწყო

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობის ადმინისტრაციამ გამწვანების კამპანია „მწვანე მომავალი“ დაიწყო, რომლის მიზანია საქართველოში გამწვანების პროცესის ხელშეწყობა და ჯანსაღი გარემოს თემის პოპულარიზაცია. გამწვანების პროგრამის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით მილიონი ნერგი უნდა დაირგას.

კამპანიის ფარგლებში გასამწვანებელი პირველი ნაკვეთი თბილისი-მარნეულის ცენტრალურ გზატკეცილზე შეირჩა. ხეების დარგვის ცერემონიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა ვაჟიშვილთან ერთად მიიღო.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ტყეზე ზრუნვა, გამწვანებაზე ფიქრი ყველა ადამიანის ვალია. მისივე თქმით, წლების განმავლობაში ტყე უკანონოდ იჩეხებოდა, რაც ეკოლოგიაზე აისახება. მან ღონისძიებაზე დამსწრეებს ტყის საერთაშორისო დღე მიულოცა და გამწვანების მხრივ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა.

„წლების განმავლობაში ტყე უკონტროლოდ იჩეხებოდა, იჭრებოდა და გადიოდა ქვეყნიდან. ეს ქვეყნისთვის, ჩვენი ეკოლოგიისთვის სრულიად დამღუპველი პროცესია. ჩვენ ეს პროცესი სასწრაფოდ უნდა შევაჩეროთ და გამოსწორება უნდა დავიწყოთ დაუყოვნებლივ. ამიტომ გამოვედი ინიციატივით, დავიწყოთ ხეების დარგვის კამპანია და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დიდ საქმეში,“ - განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, პროგრამის ფარგლებში შემუშავდება „გამწვანების რუკა“, რაც გულისხმობს გასამწვანებელი ადგილების აღწერილობასა და დამუშავებას. სატყეო დეპარტამენტის მეშვეობით მოხდება გასამწვანებელი ტერიტორიების იდენტიფიცირება, პატრონაჟის განსახორციელებელ ნაკვეთებად დაყოფა. გათვალისწინებულია გადაშენების პირას მყოფი ჯიშების ნერგთა გამოყვანა სანერგე მეურნეობებში და შესაბამის ადგილებზე გამწვანების ზოლში მათი გამრავლება. გამწვანების კამპანიაში სამთავრობო უწყებები, ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფების ჩაერთვებიან.

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა — „ბი- ბი- სი“

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. „ბი—ბი—სის“ ცნობით, გაფართოვდა იმ რუსების სია, რომლებზეც სანქციები ყირიმის ანექსიის გამო გავრცელდება. გარდა ამისა, ევროკავშირმა რუსეთ—ევროკავშირის სამიტი გააუქმა, რომელიც 3 ივნისისათვის იყო დანიშნული. ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა კი რუსეთთან ორმხრივი სამიტების ჩატარებაზე უარი თქვეს. - აღნიშნული განცხადება ევროკავშირის თავმჯდომარე ჰერმან ვან რომპეიმ გააკეთა.

როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, გაფართოებული „შავი სია“, რომელშიც 33 ადამიანი შევა, დღესვე გამოქვეყნდება. მისი თქმით, ევროკავშირის სია ამერიკელების შედგენილს ბევრი რამით ჰგავს.

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ცნობით კი, ევროკომისია „მესამე დონის“ სანქციებს მოამზადებს, რაც რუსეთისათვის სავაჭრო და ეკონომიკურ შეზღუდვებს გულისხმობს. მათ იმ შემთხვევაში აამოქმედებენ, თუკი კონფლიქტი ყირიმის საზღვრებს გასცდება.

„112“ მოსახლეობას ბუნებრივი აირის დანადგარების შემოწმებისკენ მოუწოდებს

„112“ მოუწოდებს მოსახლეობას, პრევენციის მიზნით, შესაბამის სამსახურებს შეამოწმებინოს ბუნებრივი აირის დანადგარები, რათა თავიდან იქნას არიდებული ფატალური შემთხვევები და მინიმუმამდე შემცირდეს მატერიალური ზარალის ოდენობა.

„112“-ის მისიაა, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო დროის შემცირება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოქალაქემ მყისიერად დარეკოს ცენტრში, რათა „112-ის ოპერატორების მიერ ოპერატიულად მოხდეს, შესაბამისი, სამაშველო სამსახურების მობილიზება შემთხვევის ადგილზე“, - აღნიშნეს „112“-ში.

„112“-მა მოსახლეობას დაკავშირების ალტერნატიული, ახალი გზა შესთავაზა - ხანძრის და მხუთავი აირისა (CO) დეტექტორების ჩართვა „112“-ის სისტემაში. აღნიშნული სერვისის მიზანია, მხუთავი აირისა (CO) და ხანძრის კერის წარმოქმნისთანავე საფრთხის პრევენცია, ფატალური შედეგების დადგომამდე.

„112“-მა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ახალი სერვისი მოსახლეობის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

დაწყებულია მუშაობა პროექტის კორექტირებაზე, რაც ითვალისწინებს სერვისში ჩართვის საფასურთან დაკავშირებული საკითხის ცვლილებას. აბონენტი საკუთარი რესურსით დააყენებს დეტექტორს ან/და თუ უკვე სარგებლობს არსებული პროდუქტით, აღარ გადაიხდის „112“-ის სერვისში ჩართვის და ყოველთვიური მომსახურების სააბონენტოს.

ამირან ბილიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში

2014 წლის 8 მარტს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, გაიმართა საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ამირან ბილიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირი ჩატარდა წრიული სისტემით. მონაწილეთა ასაკი არ იყო შეზღუდული.

ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ბაცაცაშვილმა, მეორე ადგილი-ზურაბ ხუციშვილმა, მესამე ადგილი-გიორგი იაკობიშვილმა(ყველა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეა), ხოლო, გოგონებს შორის პირველ ადგილზე გავიდა სოფო ხუციშვილი, მეორე ადგილზე-ნინო მახარაშვილი (ორივე ქ. დედოფლისწყაროს. №1 საჯარო სკოლის მოსწავლეა).

უფროსი ასაკის მონაწილეებს შორის ადგილები ასე გადანაწილდა. პირველ ადგილი დაიკავა პეტრე მამულაშვილმა, მეორე ადგილი- გიორგი კიკილაშვილმა, ხოლო მესამე ადგილი-მერაბ ბაცაცაშვილმა.

საპრიზო ადგილზე გასულ ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომი და ფასიანი საჩუქარი .

გიორგი კიკილაშვილმა დააწესა ფულადი პრიზი (50-50 ლარის ოდენობით) - გოგონებსა და ვაჟებს შორის გამარჯვებულთათვის, ხოლო ნათელა ბილიაშვილმა, 50 ლარი საჩუქრად გადასცა პეტრე მამულაშვილს. შეჯიბრს მსაჯობდა ნანა ჭილიტაშვილი.

დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი” კვლავ პირველია

მიმდინარე წლის 2-3 მარტს,ქ.თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში,სადაც მონაწილეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის კიკბოქსინგის გუნდი ,,ჩემპიონი",თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით.

საამაყოა,რომ გუნდი ,,ჩემპიონი",2013 წელს,საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციამ წლის საუკეთესო გუნდად დაასახელა ,ხოლო მსოფლიო ჩემპიონი - ხვიჩა ქოქუაშვილი კი - საუკეთესო კიკბოქსინგელად.

სასიხარულოა,რომ 2014 წლის პირველი საერთაშორისო ტურნირი კვლავაც დედოფლისწყაროელთა საუკეთესო მიღწევებით დასრულდა.შედეგი კი ასეთია:8-ჩემპიონი და 4-მეორე საპრიზო ადგილი.მოპოვებული მედლების რაოდენობითა და წარმატებებით, „ჩემპიონმა",კვლავ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა და გაახარა გულშემატკივარი.

ჩემპიონები გახდნენ:

მალხაზ ჯაგაშვილი-30 კგ.წონითი კატეგორია.
თორნიკე ლეკაშვილი-38,5 კგ.
შალვა მოსეშვილი-45 კგ.
ნიკა ფიროსმანაშვილი-57 კგ.
დავით ჯინაშვილი-60 კგ.
ნანა ჩახვაშვილი- 60 კგ.

უფროსი ასაკი:

ვალერი ვაჭრიძე-57 კგ.
შალვა ხოსიტაშვილი-71 კგ.
მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს:
ლუკა მოდებაძემ-32კგ.
ვალერი რამაზანაშვილმა- 42 კგ.
გიორგი მაისურაძემ- 54 კგ.
ლევან წიკლაურმა- 54 კგ.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით.

ტურნირს მსაჯობდნენ:კახა წიკლაური,ვაჟა მოსულიშვილი,ბორის გულიაშვილი,ზვიად პატაშური და აკაკი ლობჯანიძე.

ტურნირის ორგანიზატორი იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი.

მსვლელობას ხელმძღვანელობდა ცენტრის მთავარი სპეციალისტი მამუკა ალადაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ნინო ბახუტაშვილი.

ხელჩართული ბრძოლა

16 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა ევრაზიის გუნდური პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბის „ზაქები“ ხუთი სპორტსმენი. ერთი მათგანი შეჯიბრის ჩემპიონი გახდა. სანდრო ნატროშვილი ამჯერად უკვე ორგზის ევრაზიის ჩემპიონია. თამაზ გაბიტაშვილი და ნიკა მარგველანი კი მესამე ადგილებს დასჯერდნენ. ალბათ უფრო მეტი პრიზიორი ეყოლებოდა დედოფლისწყაროს, დაუმარცხებელი გიორგი ნატროშვილი ავადმყოფობის გამო რომ არ გამოსთიშვოდა ასპარეზობას.

გუნდი შეჯიბრისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა გენადი ნატროშვილმა და გიორგი ფიროსმანაშვილმა.

კიკბოქსინგი

ახლახანს ქ.თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში, სადაც ქართველ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ უცხოელი კიკბოქსინგელებიც. ტურნირი მიმდინარეობდა გლდანში კრივის სპეციალიზირებულ დარბაზში. ტურნირში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდი „ჩემპიონი“ მონაწილეობდა თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით.

ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩემპიონის გამოვლენა სხვადასხვა ასაკში და წონით კატეგორიაში, შედეგში კი დედოფლისწყარომ ყველაზე მეტი პირველი ადგილი მოიპოვა და გუნდური ჩემპიონობაც დაიმსახურა.

მწვრთნელის, თამაზ ყარაგვეზაშვილის განმარტებით, 8-პირველი, 4-მეორე ადგილი - ასეთი შედეგით დასრულდა ჩვენი რაიონის სპორტსმენებისთვის საერთაშორისო ტურნირი.

ჩემპიონები გახდნენ: ჯაგაშვილი მალხაზი, ლეკაშვილი თორნიკე, ჯინაშვილი დავითი, ფიროსმანაშვილი ნიკა, მოსაშვილი შალვა, ვაჭრიძე ვალერი, ხოსიტაშვილი შალვა, ჩახვაშვილი ნანა.

მეორე ადგილი დაიკავეს: მოდებაძე ლუკა, ჯეთერიშვილი ზურა,წიკლაური ლევანი,მაისურაძე გიორგი.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი მედლებით და დიპლომებით.

თამაზ ყარაგვეზაშვილი: „ტურნირმა ჩვენი გუნდისთვის წარმატებულად ჩაიარა, გუნდურ ჩათვლაში მოვიპოვეთ პირველი ადგილი. ჩვენი სპორტსმენებიდან ორიოდე სიტყვით გამოვყოფდი კიკბოქსინგელთა იმ გვარებს ვინც მეტად გამოიჩინა თავი. კარგად იასპარეზა 8 წლის ლუკა მოდებაძე,მ რომელიც გამოირჩეოდა შემტევი და უშიშარი თვისებით. შეუძლია აწარმოოს ორთაბრძოლა პირველ ნომრად და აქვს გამოზომილი ზუსტი დარტყმაც. ის პერსპექტიული ბავშვია და იმედი მაქვს მომავალშიც მის გვარს ხშირად გავაჟღერებთ წარმატებულად. დაუშრეტელი ენერგია და მამაცური ორთაბრძოლა გვაჩვენა მალხაზ ჯაგაშვილმა. პატარა მალხაზი ეტაპობრივად აუმჯობესებს თავის საბრძოლო ტექნიკურ მომზადებას და შედეგიც სახეზეა.

ტექნიკური სილამაზით და გონიერი გადაწყვეტილებით გამოირჩეოდა დავით ჯინაშვილის ორთაბრძოლები. დავითი გამოცდილი სპორტსმენია და აღნიშნულ ტურნირზეც ჩვეული, დისტანციური ბრძოლის მანერით, გათვლილი მანძილიდან ასრულებდა დარტყმებს ასე მოიგო ორივე ორთაბრძოლა. განსაკუთრებულად გამოვყოფდი შალვა მოსეშვილს, ის

45კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მიუხედავად იმისა, რომ ის შედარებით ახალბედა სპორტსმენია, შეძლო ისეთი ტექნიკური ორთაბრძოლა ჩაეტარებინა, რომ ყველა მსაჯის ყურადღება მიიქცია და ქებაც დაიმსახურა.

გულშემატკივარი და მაყურებელი ელოდებოდა ვალერი ვაჭრიძის გამოსვლას. ვალერი უკვე ყველა ქართველი კიკბოქსინგის მოყვარულთათვის ცნობილია, როგორც ტექნიკურად კარგად მომზადებული კიკბოქსინგელი და ლამაზი ორთაბრძოლების ავტორი. არც ახლა გაუცრუა იმედები თანაგუნდელებს და ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით დაასრულა.

დრამატულად დაძაბული ფინალური ორთაბრძოლა გაიმართა დედოფლისწყაროელ შალვა ხოსიტაშვილსა და ირანელ მეტოქეს გარენ ზარეს შორის. ირანელი კარგად მომზადებული ათლეტური აღნაგობის გამოცდილი სპორტსმენი აღმოჩნდა. ორთაბრძოლა სწრაფი შეტევებით დაიწყო და შეეცადა ქართველი მოწინააღმდეგე პირველივე წამებში დაემარცხებინა, მაგრამ შალვამ ქართული გამჭრიახობით და კარგი ტექნიკური გათვლებით შეძლო გაენეიტრალებინა ირანელი მეტოქის აგრესიული შეტევები. შალვა ხოსიტაშვილის გამარჯვებას მთელი დარბაზი შეძახილებით და ოვაციებით შეხვდა.

საერთაშორისო ტურნირზე დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით ელოდა გოგონების ფინალურ ორთაბრძოლებს ყველაზე გამორჩეული კი აღმოჩნდა დედოფლისწყაროს გუდის სპორტსმენის ნანა ჩახვაშვილისა და გორელი კიკბოქსინგელი გოგონას პაექრობა.

ნანამ თავიდანვე ალღო აუღო მოწინააღმდეგის ტაქტიკას და საპასუხო პირდაპირი დარტყმებით მოიგერია მეტოქე გოგონა,შემდეგ კი ეფექტური შეტევებით უპირატესობა მოიპოვა და „ნოკდაუნში ჩააგდო“ მსაჯის ათვლის დამთავრების შემდეგ სპორტსმენმა კი შეძლო ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ ნანამ ორი კომბინაციის შემდეგ ზუსტი პირდაპირი დარტყმით კვლავ შეძლო სპორტსმენი გოგონას ნოკდაუნში ჩაგდება, რეფერმა ბრძოლა შეწყვიტა და ნანა ჩემპიონად გამოაცხადა. ასე დასრულდა საერთაშორისო ჩემპიონატი ჩვენი გუნდი „ჩემპიონი“-ს სასახელოდ,“ - აღნიშნა თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

საუკეთესო კიკბოქსინგელების გუნდი „ჩემპიონი“ ტურნირზე მონაწილეობისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და სპორტის ცენტრმა დააფინანსა.

ილია მარტყოფლიშვილი

გამგებელი კულტურის მუშაკების პრობლემებს გაეცნო

20 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტერტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია. ის გაეცნო თანამშრომლებს, მოისმინა მათი პრობლემები და უახლოეს მომავალში სირთულეების აღმოფხვრას დაპირდა. გამგებელი სპორტულ კომპლექსში ხელცარიელი არ მისულა, მან ბურთები და სპორტული მაისურები გადასცა კომპლექსის ხელმძღვანელობას საჩუქრად.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სტუმრობისას თანამშრომლებმა უამრავი პრობლემის შესახებ მოახსენეს გამგებელს. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მათ მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მძიმე წლები ვაჟკაცურად გადაიტანეს და გაჭირვების მიუხედავად, არ უღალატეს თავის პროფესიულ მოვალეობას, რაიონის ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური ნივთები ხელშეუხებლად მოიტანეს დღემდე. პრობლემების მოგვარებას კი უახლოეს მომავალში, ეტაპობრივად დაპირდა.

ხანძრის შემთხვევები გახშირდა

ბოლო დღეების განმავლობაში დედოფლისწყაროში ხანძრის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის ვაშლოვანის ნაკრძალში.

17 მარტს ხანძარი იყო დედოფლისწყაროში, პატარა შირაქის ტერიტორიაზე. ცეცხლის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელების საშიშროებაც არსებობდა, თუმცა დროული რეაგირების შედეგად მისი ლოკალიზება მოხერხდა.

„ნაკრძალის მიმდებარედ, ე.წ. ნაზარლების ტერიტორიაზე ცეცხლი გაჩნდა, დაახლოებით 300 ჰა ფართობზე ხმელი ბალახი დაიწვა. ნათესები და ქარსაცავები არ დაზიანებულა. შემთხვევის ადგილზე სახანძრო და სამაშველო ეკიპაჟები იყო მობილიზებული," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსმა გოგიტა ნასრაშვილმა.

სავარაუდოდ, ცეცხლი მწყემსების დაუდევრობის შედეგად გაჩნდა. ამავე მიზეზით, 24 თებერვალს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ე.წ. „ნათლისწყლის ხეობაში" დაახლოებით 1 000 ჰექტრამდე საძოვარი დაიწვა.

ხანძრის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 18 მარტს, კერძოდ ე.წ. „ეშმაკის ხეობის" მიმდებარე ტერიტორიაზე. როგორც ვაშლოვანის ადმინისტრაციიდან გვაცნობეს, გამხმარი ბალახოვანი საფარი დაახლოებით 300 ჰექტარ ფართობზე დაიწვა. მათი განმარტებით, ხანძარი ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად ხანძარი გაჩნდა. მისი ლიკვიდაცია ადმინისტრაციის დაცვის თანამშრომლებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის დახმარებით მოხერხდა.

არსებობს ვერსია, რომ მწყემსები ტერიტორიების გადაწვას შეგნებულად ახდენენ, რათა გადამწვარ ადგილზე ახალი ბალახი ამოვიდეს. თუმცა, ამ ვერსიას არ იზიარებს დედოფლისწყაროს გამგეობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის სპეციალისტი ანა ბენაშვილი.

„ტერიტორიის გადაწვა იმის წინაპირობა სულაც არ არის, რომ შემდეგ აქ ახალი ბალახი წამოვა. უფრო პირიქით, შესაძლებელია ამან არსებული ვითარება გააუარესოს. არასამთავრობო და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მწყემსების ეს მიდგომა არასწორია და გარემოს ზიანს აყენებს. ასე რომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობა ყურადღებით მოეპყრას გარემოს დაცვის საკითხებს. მითუმეტეს, რომ დედოფლისწყაროში გაუდაბნოების საფრთხე არსებობს, ხანძრები კლიმატის ცვლილებას ხელს შეუწყობს," - აცხადებს ანა ბენაშვილი.

ხანძარი იყო 20 მარტს, ასევე, ქალაქ დედოფლისწყაროში, ე.წ ხევსურების დასახლებაში, არხოტის ქუჩაზე. „შირაქის" ინფორმაციით, დამწვარია ცისკარაულების ეზოში მდებარე თივის საწყობი. ცეცხლის საცხოვრებელ სახლზე გავრცელების საფრთხე დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ეკიპაჟმა დროულად აღკვეთა.

შემთხვევის ადგილზე მივიდა და დაზარალებული ოჯახი მოინახულა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. გამგებელი ცისკარაულების ოჯახს თანადგომას დაპირდა.

ხანძრის კიდევ ორი შემთხვევა 21 მარტს დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ინფორმაციით ორივე შემთხვევაში ცეცხლი მეცხოველეობის ფერმებში გაჩნდა.

დამწვარია ტარიბანის ველზე და ასევე ე.წ. „პირველ ბალკაზე" მდებარე ფერმებში არსებული თივის საწყობები. ძლიერი ქარის გამო არსებობდა ცეცხლის ფერმის შენობებზე გავრცელების საფრთხე, თუმცა, სახანძრო ეკიპაჟის დროული რეაგირების შედეგად ხანძრის კერების ლიკვიდირება და დამატებითი ზარალის თავიდან აცილება მოხერხდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ბალებში ვითარება გაუმჯობესდა

სოფელ ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღის გამგე მაია ყველაშვილი გაზეთ „შირაქთან" საუბრისას იმ დროს იხსენებს, როცა მას და საბავშვო ბაღის სხვა აღმზრდელებს საკუთარი მწირი ხელფასიდან იმ ბავშვების გადასახადის გადახდა უწევდათ, რომლებიც უკიდურესი სიდუხჭირის გამო ყოველთვიურ საფასურს ვერ იხდიდნენ. ეს კი იმ ფონზე, როცა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის ხელფასი წლების მანძილზე ზედმეტად დაბალი გახლდათ. ყველაშვილი არ მალავს, რომ მათი მიზანი ბაღის შენარჩუნება იყო, რაც ბოლო დროს გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა, ვიდრე ხელფასი, ან მისი ოდენობა. ეს კი არცთუ ისე იშვიათად და არცთუ დიდი ხნის წინ ხდებოდა. სამწუხაროდ, ეს ფაქტები მხოლოდ ამ სოფლის რეალობას არ ასახავს, იგივე ვითარება იყო დანარჩენ სოფლებშიც.

„იყო პერიოდი, როცა სხვა გზა არ გვქონდა და თანამშრომლებს ხშირად შეგვიკრეფია ფული, რომ ბავშვების ნაცვლად გადასახადი დაგვედარა. სხვა შემთვევაში ბავშვს გაიყვანდნენ ბაღიდან. ასეთი რთული დღეებიც გამოვიარეთ. იმ 10 ლარის გადახდაც ბევრს ძალიან უჭირდა. შემდეგ გადასახადი რომ გაუქმდა კონტინგენტი მნიშვნელოვნად გაგვზარდა, აქამდე 28 ბავშვი იყო, შემდეგ 36, მოგვიანებით კი 50-ს გადააჭარბა. ბოლო დროს კვებაც გაუმჯობესდა, სათამაშოებიც ახალი გვაქვს. ახლახან დასრულდა ჩვენი შენობის ძირეული რეაბილიტაციის პროცესი, რაც წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის. ათი წელია ამ ბაღში ვმუშაობ და პრობლემები მუდმივად იყო. მანამდეც გვქონდა სურვილი უფრო მეტი ბავშვი მიგვეღო, მაგრამ ფიზიკურად ვერ ვახერხებდით. ფანჯრებიდანაც წყალი შემოდიოდა, უსახსრობის გამო რემონტს ვერ ვატარებდით. რამდენჯერმე საკუთარი ძალებით მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი შევძელით და ისიც უხარისხო აღმოჩნდა," - აცხადებს მაია ყველაშვილი.

ვითარება 2013 წლის თებერვლიდან შეიცვალა, როცა მაშინდელი გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა საბავშვო ბაღში არსებული გადასახადი გაუქმდა და ხარჯების დაფინანსება მუნიციპალიტეტმა საკუთარ თავზე აიღო. უკვე წელიწადზე მეტია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

საკუთარი შენობა შეუძნეს სოფელ ზემო ქედში მოქმედ კიდევ ერთ საბავშვო ბაღს, რომელიც ამ დრომდე შენობის გარეშე ფუნქციონირებდა. მისი რეაბილიტაციაც ახლახან მოხდა. ვინაიდან სოფელი ზემო ქედი ტერიტორიულად დიდია, მოშორებით მცხოვრებ ბავშვებს ყოველდღიურად ბაღში სიარული უჭირდათ, რის გამოც სოფელში კიდევ ერთი ბაღის გახსნის აუცილებლობა დადგა. იგივე პოზიციას აფიქსირებს ზემო ქედის მეორე საბავშვო ბაღის გამგე მაია ხუცურაული.

როგორც დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის უფროსი მაია ყოჩიაშვილი ამბობს, ახლა მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, თუ რამდენად გაიზრდება მათი შრომითი ანაზღაურება. მისი თქმით, დედოფლისწყაროში ამჟამად 17 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს.

„ვფიქრობ, რომ ამჟამად ბაღებში პერსონალის ხელფასი ძალიან დაბალია, მათი შრომის ანაზღაურება მეტი უნდა იყოს. იმედი მაქვს, დაფასდება კიდეც და სასიკეთოდ გადაწყდება. უახლოეს რამდენიმე კვირაში ხელფასები გაიზრდება, თუმცა კონკრეტულად რამდენად მოიმატებს, ამ ეტაპზე ვერ გეტყვით. ჩემს პერიოდში ეს პირველი მატებაა და მიმაჩნია, რომ შედარებით მაღალი ხელფასები უნდა იყოს. მანამდე მშობლებს თვეში 10 ლარის გადახდა უწევდათ, თუმცა ცალკეული კატეგორიების ოჯახებისთვის გარკვეული შეღავათები მოქმედებდა, მაგალითად: მარტოხელა დედებისთვის, სოციალურად დაუცველი და ომში დაღუპულთა, ასევე მრავალშვილიანი ოჯახები, ჯამში 100 ზე მეტი ბავშვი ზოგი ნაწილობრივ ზოგი მთლიანად გათავისუფლებული იყო გადასახადისგან. შემდეგ უკვე ირაკლი შიოლაშვილი დაინტერესდა, გაეცნო ვითარებას და მიხარია, რომ დედოფლისწყარო პირველი იყო, სადაც გადასახადი გაუქმდა," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" სკოლამდელი აღზრდის ცენტრის უფროსმა მაია ყოჩიაშვილმა.

დედოფლისწყაროს გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, საბავშვო ბაღებში პერსონალმა გმირულად გადაიტანა ბავშვთა რაოდენობის ზრდა და უპრეტენზიოდ იმუშავეს.

ბეჟან სუხაშვილი: „ბაღებთან დაკავშირებით ჩვენს სოფელში პრობლემა იყო. 20 წლის განმავლობაში მათი რეაბილიტაცია არ მომხდარა. გასულ წელს სოფლის პროგრამის თანხა მოვახმარეთ, თუმცა დაგვაკლდა და გამგეობამ დაგვიმატა 10 ათასი ლარი, რის დახმარებით მეორე საბავშვო ბაღისთვის შენობა შევიძინეთ," - გვითხრა სოფლის რწმუნებულმა.

ილია მარტყოფლიშვილი

გაიხსნება თუ არა ჟვანიას გარდაცვალების საქმე?!

(პირველი გვერდიდან)

დაიწყო გამოძება, დაუდგენელი პირის მიერ აღნიშნული ფოტოების ინტერნეტში განთავსების შემდეგ თუ მანამდე? ასევე, გაუგებარი რჩება რატომ დასჭირდა პროკურატურას ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეზე 1 წელზე მეტი დრო იმის გასარკვევად, რომ 2012 წელს ყოფილი მთავარი პროკურორის სეიფში აღმოჩენილი მასალა ექსპერტიზის დასკვნაში ასახული არ იყო?

პროკურატურამ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტს, ლევან ჩაჩუას და ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრს, მიხეილ ძაძამიას, ბრალი წაუყენა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. გაჩნდა მოსაზრება, რომ გასულია დანაშაულის გამოძიების კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა. ამასთან დაკავშირებით გვსურს აღვნიშნოთ შემდეგი: 2005 წელს (ანუ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს) აღნიშნული დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადა იყო 6 წელი. თუმცა, 2006 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადა 6-დან 15 წლამდე გაიზარდა. ვინაიდან ქმედების სავარაუდოდ ჩადენიდან კანონის შეცვლამდე გასული იყო ერთი და არა ექვსი წელი სრულად, ბრალდებულების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს 15 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ანუ ხანდაზმულობის ვადა გასულად არ ჩაითვლება. აღნიშნულ მიდგომას მხარს უჭერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც 2009 წლის 13 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: ,,როცა კანონმდებელი ისე ზრდის ხანდაზმულობის ვადებს, როდესაც ჯერ არ ამოწურულა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობა, ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის დარღვევად. იგი არ მოდის წინააღმდეგობაში კანონის უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპთან და შესაბამისად, არც სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში არ მოიაზრება. მართალია, ამ შემთხვევაშიც პირის უფლებრივი სფერო განიცდის გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას იმით, რომ მის მიმართ ხანგრძლივდება სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ ეს ნორმატიული სინამდვილე მართლდება სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებით.“

მიუხედავად იმისა, თუ რომელი ხელისუფლების დროს გახდა ხელმისაწვდომი დაუდგენელი პირისთვის ინტერნეტში გავრცელებული კადრები, ფაქტი ერთია: სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ასეთი მნიშვნელობის მქონე საქმეზე მასალების სათანადოდ შენახვა. ეს გარემოება გამოძიებას საჭიროებს.

მთავარ პროკურატურაში 20 მარტს, 24:00 საათზე გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ გვამს აშკარად აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები და რომ „საქმეზე აუცილებელი გახდა ახალი ექსპერტიზის ჩატარება“. თუ გავითვალისწინებთ პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება საერთაშორისო ექსპერტიზის ბიუროებთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ექპერტიზა ამ დრომდე ჩატარებული არ არის. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ გასარკვევია, რის საფუძველზე დაადგინა გამოძიებამ გვამზე სიცოცხლისდროინდელი დაზიანებების არსებობა. ცხადია, ამ გარემოების დადგენა სცდება იურისტის კომპეტენციას და სპეციალურ, ექსპერტულ ცოდნას მოითხოვს, ხოლო თუ ექსპერტიზა ჩატარებული არ არის, ინტერესს იწვევს თუ როგორ დაადგინა პროკურატურამ ეს გარემოება.

გამოძიებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში, გარდაცვლილთა ოჯახის წევრების, ჟურნალისტების, დაცვის მხარის, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა დაინტერესებულ პირთა მხრიდან დაისმება არაერთი კითხვა. ამ კითხვებს სჭირდებათ კვალიფიციური, მაღალპროფესიული პასუხები, რათა არასათანადო პასუხებმა ახალი კითხვები არ გააჩინოს. თუ გამოძიების შემდეგ კვლავ დარჩა რაიმე ეჭვი, ეს დააზარალებს გამოძოების ინტერესებს და ხელს შეუშლის კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგომას. ზოგადად, ნებისმიერ საქმეზე არსებობს რისკი, რომ არაეფექტური და არაპროფესიული გამოძიება აღმოჩნდეს კონტრპროდუქტიული. მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, ჩვენ ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მაგრამ, თუ დანაშაული ვინმემ მართლაც ჩაიდინა და ეს გამოძიებამ ვერ დაადასტურა სათანადო მტკიცებულებით, საზოგადოების კითხვები შესაძლებელია დარჩეს კითხვებად, ხოლო სავარაუდო დამნაშავე - დაუსჯელად. საქართველოს კონსტიტუციის მე-40-ე მუხლის თანახმად „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა ნათლად უსვამს ხაზს თუ რა მნიშვნელობა აქვს გამოძიების სათანადოდ წარმოებას, უტყუარი მტკიცებულებების მოძიებას და ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვას.

დასასრულს გვსურს აღვნიშნოთ, რომ საია დადებითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის პოზიციას, რომ ,,საზოგადოებრივი ინტერესი არის არა მძიმე კადრების ნახვაში, არამედ გამოძიების დასრულებაში“ და მოუწოდებს პროკურატურას გამოიყენოს ყველა ძალისხმევა, რომ აღნიშნული საქმე დროულად, ეფექტურად და მაღალ პროფესიულ დონეზე იქნეს გამოძიებული“, - აღნიშნულია საიას განცხადებაში.

გაცილებით მკაცრი იყო კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით ეთიკის ქარტია.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ განცხადება გაავრცელა ყოფილი პრემიერ - მინისტრის ზურაბ ჟვანიას და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის რაულ იუსუპოვის გარდაცვალების შემდეგ გადაღებული კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით.

19 მარტს ჯერ სოციალურ ქსელებში, შემდეგ კი სამაუწყებლო კომპანიების ეთერით გავრცელდა ფოტოკოლაჟი, რომელშიც ჩანს ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრები.

სამწუხაროა, რომ მედიაორგანიზაციები უმეტესად გაუფრთხილებლად, სრულად, გადამოწმების გარეშე, მყისიერად გადასცემენ ამგვარ კადრებს. არ ერიდებიან, განსაკუთრებით კადრებში აღბეჭდილი ადამიანების ახლობლებისა და ნათესავების ტრავმირებას და მძიმედ სანახავ ვიდეო და ფოტო მასალას ავრცელებენ ახლო ხედით, მაშინაც კი, როცა კადრებში ნაჩვენები ინფორმაციის მიწოდება აუდიტორიისთვის შეიძლება სიტყვიერად ან სხვა, გაცილებით ნაკლებად მტკივნეული ფორმით.

ვფიქრობთ, აგრეთვე მნიშვნელოვანია, ამგვარი ანონიმური მასალების გამოჩენისას, მედია მეტად ინტერესდებოდეს მისი მოპოვების მეთოდებითა და წყაროებით. მითუმეტეს, როდესაც გავრცელებიდან მალევე ზურაბ ჟვანიას ძმისა და რაულ უსუპოვის ოჯახის კომენტარებიდან გაირკვა, რომ ფოტოები გამოძიების მასალების ნაწილია.

ქარტია კიდევ ერთხელ მოუწოდებს კოლეგებს მეტი პროფესიონალიზმით მოეკიდონ მსგავს შემთხვევებს და მსგავსი მასალის გავრცელებისას გაითვალისწინონ როგორც საზოგადოებრივი ინტერესი, ისე იმ ადამიანთა ინტერესები, ვისთვისაც გავრცელებული მასალები განსაკუთრებით მტკივნეულია.

მოსახლეობისთვის კი ამ განცხადებებზე აქტუალური რჩება კითხვა: გაიხსნება თუ არა პრემიერ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე?

FBI-ს დასკვნა ზურაბ ჟვანიას საქმეზე – რა დაადასტურა ამერიკელი აგენტების ექსპერტიზამ

ზურაბ ჟვანიას საქმის გარშემო ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, განსაკუთრებული ინტერესის საგანია აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დასკვნა. შეგახსნებეთ, რომ იმ ბინაში, სადაც ოფიციალური ვერსიით ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუფოვის ცხედრები იპოვეს, საგამოძიებო ქმედებები გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმაც ჩაატარეს. არსებული ინფორმაციით, FBI-ს დასკვნას ამ დრომდე გრიფით საიდუმლო ადევს. თუმცა თავის დროზე ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ მოიპოვა FBI-ს დასკვნის ნაწილი და ის ფილმში “ტყვიის გარეშე” გამოიყენა, რომელიც ჟვანიას იდუმალებით მოცულ სიკვდილს ეხებოდა.

გთავაზობთ ტექსტურ ვერსიას ფილმის იმ ნაწილია, რომელშიც FBI-ს დასკვნაზეა საუბარი:”გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერიმენტის მიზანი იყო, გარკვეულიყო, რამდენად გამართულად მუშაობდა გაზის გამათბობელი “ნიკალა” და გაეზომათ საბურთალოს ქუჩის N53-ში მდებარე ბინაში ნახშირბადის მონოქსიდის და ჟანგბადის დონეები ღუმელის მუშაობის დროს.

ექსპერიმენტი 4 საათი და 46 წუთი მიმდინარეობდა, ჟანგბადის საზომმა დანადგარმა ღუმელის ანთების დროს 20, 4 პროცენტი უჩვენა და ექსპერიმენტის განმავლობაში 18, 4 პროცენტამდე შემცირდა. FBI-ს ლაბორატორიის დასკვნაში კი მოცემულია ცხრილი, თუ როგორი ფიზიოლოგიური ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ჰაერში ჟანგბადის პროცენტულმა კლებამ ადამიანზე - 20, 9 პროცენტი ჟანგბადის ნორმალური კონცენტრაციაა, 19 პროცენტი -

შეუმჩნეველ არასასურველ ზეგავლენას იწვევს, 16 პროცენტის შემთხვევაში - შენელებულია აზროვნება, გაუარესებულია კოორდინაცია, 12, 5 პროცენტმა შეიძლება გამოიწვიოს გულის პერმანენტული დაზიანება, პირღებინება, 10 პროცენტის დროს კი შესაძლებელია გონების დაკარგვა, კონვულსიები და სიკვდილი; ასე რომ, ტესტირების დროს ჟანგბადის პროცენტული რაოდენობა - 18, 4 პროცენტი, ცხრილის მიხედვით მხოლოდ უსიამოვნო ფიზიოლოგიურ შეგრძნებებს იწვევს და სიკვდილის მიზეზი ვერ გახდებოდა.

რაც შეეხება CO-ს, ის უფერო, უსუნო გაზია, ნახშირბადის მონოქსიდს უჯრედულ დონეზე უნარი აქვს ბევრად უფრო ადვილად მიუერთდეს ადამიანის სისხლში ჰემოგლობინს, ვიდრე ჟანგბადი, ამიტომ სისხლი ვეღარ ახერხებს ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგებას, რაც სიკვდილს იწვევს.

ამერიკელმა ექსპერტებმა CO-ს გასაზომად მოცულობითი საზომი ერთეული, პი-პი-ემი გამოიყენეს. ექსპერიმენტის დროს ჰაერში ნახშირბადის მონოქსიდის მოცულობა 3 პი-პი-ემი- დან 6 —მდე გაიზარდა, ამერიკული ჯანდაცვის სტანდარტებით კი სიცოცხლისთვის სახიფათო ოდენობა 1200 პი-პი-ემს შეადგენს, ანუ ექსპერიმენტის საბოლოო მაჩვენებელი 200-ჯერ ნაკლები იყო სიცოხლისათვის სახიფათო მოცულობაზე. ამასთან, ნახშირბადის მონოქსიდი არასრული წვის დროს წარმოიქმნება, FBI-ს დასკვნით კი ექსპერტებმა “ნიკალას” გამათბობელზე ნახსირბადის ანუ მურის კვალი ვერ აღმოაჩინეს, აქედან გამომდინარე, სრულიად აუხსნელია, როგორ გამოყოფდა საბურთალოს 53 —ში გაზის გამათბობელი ცო-ს. იმის მიუხედავად, რომ FBI-ს კვლევის შედეგებით სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდა, მისი დასკვნა ორაზროვანი იყო, ერთი მხრივ, დასკვნაში ჩამოყალიბებული იყო გამოძიების მხარდამჭერი მოსაზრებები: “ექსპერტიზის მონაცემების ანალიზის დროს არაფერი შეიმჩნეოდა ისეთი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის წინასწარ დასკვნას, რომ სიკვდილის მიზეზი ნახშირბადის მონოქსიდით მოწამვლა იყო, რაც არასწორად დამონტაჟებულმა გამათბობელმა გამოიწვია”, მეორე მხრივ კი იმავე დოკუმენტში არის საწინაღმდეგო დასკვნა: “გამოძიების ფედერალური ბიურო აღნიშნავს, რომ თბილისში ჩატარებული ექსპერტიზის დროს CO-ს კონცენტრაციას არ მიუღწევია და არ გადაუჭარბებია სიცოცხლისათვის სახიფათო სტანდარტისთვის”.

„იმედი მაქვს, ბევრი ფერმერი ისარგებლებს ჩვენი მომსახურებით“...

მინი დოსიე: ალექსანდრე ბენაშვილი დაიბადა 1980 წლის 11 სექტემბერს ქალაქ სიღნაღში, დაამთავრა ქ. თბილისის №85-ე სკოლა, 2002 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ერთი წელი შპს „საქართველოს რკინიგზაში“ იმუშავა, შემდეგ კი მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და კერძო ფერმერულ საქმიანობას ეწევა დღემდე.

შპს მექანიზატორს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს- ალექსანდრე ბენაშვილი. როგორც ის გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, ტექნიკა წინა ხელმძღვანელობისგან საკმაოდ კარგ მდგომარეობაში გადმოიბარა, ახლა დღის წესრიგში სერვის- ცენტრის ახალი ინვენტარით შევსება და მომსახურების ტარიფების შემცირება დგას.

- აღწერილი გვაქვს მთელი არსებული ტექნიკა, უახლოეს მომავალში ველოდებით მზესუმზირისა და სიმინდის 8 სათესს, 6 ერთეულ კულტივატორს, სახნავ გუთნებს. ამჟამად ჩვენ გვაქვს 23 კომბაინი, შემოგვყავს ფირმა „ჯანდიერის“ 7 ერთეული, ასევე „ნიუ-ჰოლანდის“ 4-5 ერთეული კომბაინი. დღეისათვის შექმნილია რვა ბრიგადა, რომელიც დედოფლისწყაროში არსებული სახნავ-სათესი მიწების ფართობების შესაბამისად მოემსახურება სოფლებს, მიწის ფართობების პროპორციულად განაწილდება ტექნიკაც.

- ბატონო ალექსანდრე, წლების განმავლობაში წვრილი ფერმერების უკმაყოფილებას იწვევდა ამ სერვის-ცენტრის მომსახურების მაღალი ტარიფები. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ტექნიკა უკვე ამორტიზებულია და ხშირად ფუჭდება, მოსახლეობა დაბალი ფასის გამო მაინც მასზე აკეთებდა არჩევანს. რა მდგომარეობაა ახლა, ხომ არ იგეგმება ტარიფების შემცირება?

- მართალია, ჩვენთან ტარიფები შედარებით მაღალია, მაგრამ მომსახურების ფასები სერვისის ხარისხიდან გამომდინარეობს. ასევე, ახალი და ძვირადღირებული მანქანების შენახვაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, წინა წლებთან შედარებით წელს გაცილებით დაბალ ფასად შეეძლებათ ფერმერებს მიწის დამუშავება.

თესვის ტარიფი 45 ლარიდან 36 ლარამდე დავაიაფეთ(ეს 20 ჰა-მდე მიწის მფლობელებს ეხებათ), შესაბამისად 35 და 34 ლარი ეღირება 50ჰა-მდე და 100 ჰა-მდე მიწის მფლობელებისთვის ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთის დათესვა;

ერთი ჰექტრის შეწამვლა და ჰერბიციდით დამუშავება 25 ლარიდან, მიწის ფართობების შესაბამისად, 15 და 14 ლარამდე შემცირდა;

სასუქის გაშლა 25 ლარის ნაცვლად მიწათმოქმედებს ერთ ჰექტარზე 13-12 ლარი დაუჯდებათ;

მოსავლის აღების ტარიფებიც შემცირებულია და 100 ლარის ნაცვლად ერთი ჰექტრის აღება 89-92 ლარი ეღირება.

- ამბობთ, რომ მომსახურების ტარიფებმა იკლო, ეს თუ აისახა ფერმერების აქტივობაზე?

- მოსახლეობის აქტივობა დღეის მდგომარეობით ნორმალურია. 1500 ჰექტრის დამუშავებაზე უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, ფერმერების ნაწილი უახლოეს მომავალში აპირებს ჩვენი მომსახურებით სარგებლობას. იმედი მაქვს, ტარიფების გაცნობის შემდეგ ბევრი წვრილი ფერმერიც გადაწყვეტს, ისარგებლოს ჩვენი ხარისხიანი მომსახურებით.

ინგა შიოლაშვილი



ინსტრუქცია - როგორ დავიბრუნოთ უკან 360 ლარი

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაახლოებით 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი მოქალაქე, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარს უკან მიიღებს.

საინფორმაციო ცენტრი 16 100 გთავაზობთ ზუსტ ინფორმაციას, ვის და როგორ შეგიძლიათ 360 ლარის უკან დაბრუნება. ამისათვის უნდა დარეკოთ 16 100—ზე დამატებითი კოდის გარეშე.

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად მოქალაქე შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე www.rs.ge განთავსებულ შესაბამის ფორმაში, მხოლოდ პირადი ნომრის და მისი საბანკო რეკვიზიტის მითითებით ავსებს ელექტრონულ დეკლარაციას და აქვე იღებს ინფორმაციას მისთვის დასაბრუნებელითანხის ოდენობის შესახებ.

დეკლარაციის შევსება შესაძლებელია როგორც სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით, ასევე, საბანკო დაწესებულებაში.

მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ბანკების მომსახურებით: სს ბანკი „რესპუბლიკა“; სს „პრივატბანკი“; სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ბაზისბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „კორსანდარტ ბანკი“; სს „ბანკი კონსტანტა“; სს „ფინკა ბანკი საქართველო“.

სამინისტროს ცნობით, ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მას დაუბრუნდება დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება 2013 წელსშეიტანა, რაც დაბალ შემოსავლიანი მოქალაქეებისათვის, რომელთა წლიური დარიცხული შემოსავალი 2013 წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 6000 ლარს, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარის უკან დაბრუნებას გულისხმობს.

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაციის პროცედურები მარტივდება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ურთიერთთანამშრომლობის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ პაპუნა უგრეხელიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ და ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ლალი გზირიშვილმა.

მემორანდუმის მიზანია უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაციის გამარტივებას შეუწყობს ხელს. დაინერგება ერთი ფანჯრის პრინციპი და საჯარო რეესტრის მიერ ავტორიზებულ ნოტარიუსებს ენიჭებათ უფლებამოსილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეგისტრაციზე განაცხადი მიიღონ.

„მეწარმეთა შესახებ” და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ” კანონის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები კერძო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. შესაბამისად, მათ რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ანიჭებს. სტატუსისი მინიჭების შემდეგ, მეწარმეებს კანონით განსაზღვრული შეღავათებითა და სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეგისტრაციისთვის, დაინტერესებულმა პირმა საჯარო რეესტრში უნდა წარადგინოს:განცხადება/ დამფუძნებელთა შეთანხმება; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

დარეგისტრირების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მოსაპოვებლად მეწარმეებმა განცხადებით უნდა მიმართონ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს და წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები: უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება.

სარვამარტო ზეიმი სამრეკლოს ბაგა-ბაღში

7 მარტი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა სოფ.სამრეკლოს ბაგა-ბაღში. აქ მრავალი

ღირსეული ახალგაზრდა აღზრდილა. მაგრამ 30 წლის განმავლობაში ასეთ ლამაზ ბაღში არ უზეიმიათ პატარებს. გარემონტებული შენობა ხომ როგორც აღსაზრდელებს, ისე პატარებს ძალიან მოსწონთ და უხარიათ. აქ წელს უკვე მეორე ზეიმი იყო, რაც მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მაია ყოჩიაშვილის დამსახურებაა.

სამრეკლოს ბაგა-ბაღს არასოდეს აკლდა ბავშვთა დასწრება, მაგრამ ახლა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს გამოწვეულია არამარტო რემონტით, არამედ იმითაც, რომ მშობლებს მოეხსნათ გადასახადი და შეიქმნა ნორმალური კვება, რაც ყოველდღიურ მენიუზე აისახება.

სამრეკლოს ბაგა-ბაღის დირექტორი მაკა ზურაშვილი უკვე 26 წელია უდგას სათავეში ამ საპასუხისმგებლო საქმეს, რაც აისახება მისი თანამშრომლების მაღალკვალიფიციურობასა და ყურადღებიანობაზე.

გაზაფხულის ზეიმზე 4-5 წლიანთა ჯგუფში, პედაგოგი ნინო სესიტაშვილი, მუსიკის მასწავლებელი მაია ლეკაშვილი და ძიძა თამარ ტოკლიკიშვილი თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ აღსაზრდელების გასამხნევებლად, რომ მხატვრულად და ლამაზად წაეკითხათ ლექსები, ემღერათ სიმღერები. ასევე ჩატარდა ბაგის 2-3 წლიანთა ჯგუფის ზეიმიც. (აღმზრდელი-ია გელაშვილი, მუსიკის მასწავლებელი მაია ლეკიაშვილი, ძიძა ქეთინო ბოსტოღანაშვილი,აღმზრდელის თანაშემწე ეკატერინე ბერიაშვილი) აღსაზრდელებმა იმღერეს, იცეკვეს და დადგეს მონტაჟი "ჩიტი და მელა".

დასასრულს, ბაგა-ბაღის დირექტორმა ბავშვებსა და მშობლებსა 8 მარტი და დედის დღე მიულოცა, მან აგრეთვე მადლობა გადაუხადა სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლებს- ეკა პოპიაშვილს და მაია ცოგოშვილს სტუმრობისთვის და ჩვენი შრომის დაფასებისთვის.

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში"...

ადრეულ გაზაფხულს დაუსადგურებია სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში. ირგვლივ ხალისია, აუწერელი სილამაზე, უთვალავი სიხარული და მართლაც უამრავი ია, ყოჩივარდა, ენძელა, მიხაკი, მწვანე ყვავილა იწონებს თავს საზეიმოდ გამოწყობილ გოგო-ბიჭებთან ერთად. სცენიდან წყნარი მუსიკის ჰანგები იღვრება. "სლაიდ შოუზე" ჩანს დედაშვილობის ამსახველი მაგალითები და იწყება საღამო -„ქალს, მშვენიერ ქალს"...

"გაზაფხულს უხდება ია, იები უხდება ქალს".. -ასე იწყებენ თავიანთ გამოსვლას ქვეყნის ლაზათისა და კდემამოსილების შესახებ წამყვანები- მაგდა გიგოლაშვილი და თინიკო გაბიდაური.

გაგიკვირდებათ, დედის რამდენ საოცრებაზე ილულუნეს პატარებმა. „ პირველი საოცრება, დედაჩემო, გულია შენი!" განა არ არის გასაკვირი მისი სითბო, რწმენა და ღიმილი, ლოცვა ცრემლიც კი? მერე კი დარბაზს ეფინება ნატვრა პირველკლასელთა, რომ ყველა შვილმა ისწავლოს დედის ფასი, რომ არც ერთმა შვილმა არ ატკინოს დედის გულს გული. უყურებ, ეს პატარა გოგო-ბიჭები როგორი რუდუნებით ეჩურჩულებიან ნატვრის ხეს, და გჯერა, სანამ დედამიწაზე ანის, ნანის, გიორგის, ნიკას, გიგას თაობები დააბიჯებენ, უფალი არ მოშლის მადლს დედაშვილობისას.

„ჩემო ღვთიურო და მისტიური არსებავ, დედავ, მე საქვეყნოდ შენს ქებას ვბედავ!" - ამბობს მესამე კლასელი ლიკა ტოკლიკიშვილი და მასთან ერთად დედის სიყვარულში ეჯიბრებიან გიორგი ნაზღაიძე, ნიკა და აკაკი ყოჩიაშვილები. ერთმანეთს სცვლიან თინიკო, ნათია, სალომე, მერი თუ თეო. აღელვების გარეშე ვერ მოუსმენდით მაგდა გუმაშვილსა და ანი ჩილითაშვილს, რომლებმაც საყვარელი არსებისადმი მოწიწება საკუთარ ჩანახატებში ჩააქსოვეს. დედის გულს გვეფიცებოდნენ, ქალის მშვენიერებას უგალობდნენ მარი კვანჭილაშვილი, ლიზი და მზია ბენაშვილები, შოთა ტალიაშვილი და სალომე ჯოჯიკაშვილი. ერთმანეთს სცვლიდნენ მოცეკვავეები მეშვიდე კლასიდან და ქართული ცეკვის შემსრულებლები- გვანცა გოგიჩაიშვილი და გურამ გოგილაშვილი.

დღესასწაულთა შესახებ რუსულ და ინგლისურ ენაზე ისაუბრეს მეშვიდე კლასელმა მოსწავლეებმა, ხოლო ინგლისურ ენაზე ქალის ხოტბა სიმღერით გამოხატა ნათია პაპუაშვილმა.

უნდა აღინიშნოს უფროსკლასელი ვაჟების აქტიური მონაწილეობის შესახებ- „ქალის სიყვარული შენი გულის განძია, შენ უნდა მოუარო მას", "ზოგჯერ კი მეფენიც ვერ იპყრობოდნენ მშვენიერ ქალთა გულებს". მშვიდად ვერ შეძლებდით მათი ფრაზების მოსმენას, რადგან მერვე-მეცხრე კლასელი ვაჟები ქალისადმი საქებარ სიტყვებსა და სადღეგძელოებში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. დარბაზს ექოსავით მოეფინა (წამყვანთა სიტყვები) „იფრინეთ, „იფრინეთ, ლექსებო," მონაწილეთა გადაძახილი: "დაკოცნეთ ლამაზი ქალები!"

სამრეკლოს საჯარო სკოლის ღონისძიებათა რიცხვს კიდევ ერთი საინტერესო საღამო მიემეტა.

სამრეკლოს საჯარო სკოლა
მაია ნასრაშვილი

გაზაფხული შემოსულა, ლენ!

გაზაფხულის ერთ უმშვენიერეს დღეს ქ. დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღში(დირექტორი ქ-ნი ქეთევან ჩალახეშაშვილი) 3-4 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელებს უჩინარი კეთილი ფერია ეწვია და თავისი ჯადოსნური ჯოხის წყალობით მშობლები და თვალხატულა გოგო-ბიჭები დახვეწილად და ლამაზად მორთულ-მოკაზმულ დარბაზში მიიწვია. მოწვეული სტუმრები გაზაფხულის დადგომასა და დედის დღესთან დაკავშირებული შთამბეჭდავი ღონისძიების მომსწრენი გახდნენ, ხოლო ამ ზეიმის შემოქმედნი თვით ღნიშნული ჯგუფის ბავშვები გახლდნენ. 3-4 წლიანთა ჯგუფს ხელმძღვანელობს აღმზრდელი თამუნა ალადაშვილი, რომელიც ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს პაწიების პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ხოლო აღმზრდელის თანაშემწე შორენა ალულიშვილი ჯგუფის დიზაინერი და მხატვარია. დედობრივ მზრუნველობას იჩენს პატარების მიმართ ძიძა რუსუდან ლაპიაშვილი. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელმა აზა ლაპიაშვილმა, მის მიერ შესწავლილი სიმღერები და ცეკვები სასიამოვნო ასოციაციებს იწვევს მსმენელსა და ბავშვებში. პატარებმა წარმოადგინეს პიესა „ყვავილების მეჯლისი", რომელიც აღმზრდელის მიერ მეთოდურად სწორად იყო შერჩეული და დადგმული. აღმზრდელების და მშობლების თანადგომით და ძალისხმევით ბავშვები ლამაზ-ლამაზ კაბებში პიჯაკებსა და როლებისთვის შესაფერის აქსესუარებში გამოწყობილნი წარმოდგენენ მაყურებლის წინაშე. ბავშვები როლებს ლამაზად და ძალდაუტანებლად ასრულებდნენ. „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ, ჩემმა მზემ რომ თვითონ მე ვარ!" -მღერის მარიამ არაბული და შესაბამის მზის ფორმასაც სასიამოვნოდ ირგებს. ენძელას(ა.ტუხაშვილი) ია ცვლის (ქ.საბიაშვილი და მ.ხუციანიძე), ლექსს სიმღერა მოსდევს, სიმღერას ცეკვა და იღვრება სასიამოვნო მელოდიები დარბაზში. გოგმან-გოგმანით თავს იწონებს გვირილა(მ. პოპიაშვილი) ხოლო ლევანი, დათუნა და ერეკლე მერცხლის ჭიკჭიკით ამხიარულებენ დარბაზს. პაატა ნაკადულია, ხოლო მარიამ ბოსტოღანაშვილი ლექსის ლამაზად თქმის ოსტატად მოგვევლინა, ნათია, ანა-მარია, ბარბარე, მ. წიკლაური და თიკო გაზაფხულს და დედას უძღვნიან ლექსებს, სტეფანე და ილია კი, რომლებიც ჭია-მარიები არიან, კარგად ერგებიან თავიანთ როლს, მერი ვარდივით ლამაზია, ლიზი ენძელებს ჩუქნის თავის დედიკოს. მორცხობენ მარი და დავითი ალადაშვილი, ხოლო ლამაზ, თეთრ კაბაში გამოწყობილმა ანასტასიამ ყველა გააოცა. „ახლაც შენა ხარ ჩემი სანთელი, სიცოცხლის დიდი გასხივოსნება!"- გულმხურვალედ უძღვნისლექსს დედას ერეკლე და მართლაც, ირგვლივ ყველაფერი გასხივოსნებულია ლამაზთვალება გოგონებისა და ბიჭების სულს სისპეტაკით. დაე, გაზაფხულივით აფეთქებული და სპეტაკი ყოფილიყოს მათი ცხოვრების სავალი გზები.

№2 ბაგა-ბაღის მეთოდისტი
ნათელა თამაზაშვილი

მომავალ თაობას ქრისტიანული აღზრდა სჭირდება

წლის 14 მარტს სამრეკლოს ბაგა-ბაღში, ექ თან ნინო ყოჩიაშვილის ინიციატივით, მოვიწვიეთ დეკანოზი მამა გაბრიელ ბენიანიძე, რომელმაც აკურთხა საბავშვო ბაღის შენობა, აღსაზრდელები, თანამშრომლები და თითოეულ მათგანს ზეთი სცხო.

მამა გაბრიელმა ბაღს საჩუქრად გადმოსცა ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, ხოლო სტუმრად მოვაბრძანეთ ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ერთი კვირით.

მომავალ შაბათს ე.ი.ერთი კვირის შემდეგ მოვაბრძანებთ ღირსი მამა სერაფიმ საროველის ხატს. ძალიან კარგი იქნება, ყველა დაწესებულებას, განსაკუთრებით კი ბავშვთა დაწესებულებებს თუ აკურთხებენ, რათა მომავალმა თაობებმა ერთმანეთის მიმართ სიყვარული და მიტევება ისწავლონ, ეს ძალიან სჭირდება ჩვენს შვილებს.

პატივისცემით, დ/წყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოს ბაგა-ბაღის პედაგოგები და მომსახურე პერსონალი.

თვითმკვლელობა- გათხოვების სანაცვლოდ

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, 16 წლის გოგონა არ დაეთანხმა მშობლების გადაწყვეტილებას იძულებით გათხოვების შესახებ და თავი მოიკლა. სკოლის დირექტორის განცხადებით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა იმის გამო, რომ ადრეულ ასაკში იძულებით გათხოვება არ უნდოდა.

„გოგონას მამა ყაზახეთში მოღვაწეობდა. ყაზახეთიდან დაურეკია თავისი მეუღლისთვის, რომ გოგო უნდა გავათხოვოთო. დედამ ეს თავის შვილს აუხსნა და უთხრა, რომ უნდა გაგათხოვოთო. მიზეზი ეს იყო, დანარჩენი არაფერი. გოგომ კიდევ უარი თქვა. სწავლის გაგრძელება უნდოდა. გუშინ, ახლობლის ორმოცი ჰქონიათ. დედა ორზე თუ სამ საათზე დაბრუნებულა სახლში და რომ შევიდა, ასეთი სურათი დახვდა, რომ ბავშვი უკვე მკვდარი იყო. თავი სანადირო თოფით მოიკლა“, — განუცხადა პრესას სოფელ ყარაჯალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბახოლდინ სეიდოვმა.

გოგონას ახლობლები მედიასთან კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ. მომხდარში კი გოგონას მამას ადანაშაულებენ.

ელზა აშიროვა, ყარაჯალის სკოლის დირექტორი: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გოგონას ძალით ათხოვებდა მამა, რომელიც ყაზახეთში ცხოვრობს. გოგონა არ იყო თანახმა, ვერ შეძლო მამისთვის წინააღმდეგობის გაწევა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჩვენი თანასოფლელებისთვის მთავარია მატერიალური მდგომარეობა. თუ ბიჭი შეძლებულია, ან საშუალოდ შეძლებული, გოგოს თანხმობას მშობლისთვის მნიშვნელობა არ აქვს, უნდა გათხოვდეს. იმდენად მორიდებული იყო, ვერ მოვიდა ჩემთან. იქვე ახლოს ცხოვრობს ბებია, მასთან მისულა, მაგრამ სამწუხაროდ, ბებიამ ვერ შეძლო ეტყობა დახმარება. ჩვენთან გათხოვება მასობრივად ხდება სწორედ მშობლების ზეწოლით. ზოგიერთი შემთხვევა ასე მთავრდება, ასე გამოხატავენ თავიანთ ემოციებს, განცდებს და უკმაყოფილებას“.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ზუსტად იგივე მიზეზით, სოფელში თვითმკვლელობა 2013 წელსაც მოხდა. ამ შემთხვევაშიც მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვი თანასოფლელ მამაკაცზე გაეთხოვებინათ. გოგონა, რომელიც მე—10 კლასის მოსწავლე იყო, გათხოვებაზე უარს ამბობდა.

2012 წელს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მე—8 კლასის მოსწავლის გადარჩენა შეძლეს. 13 წლის გოგონამ თვითმკვლელობის მიზნით დიდი რაოდენობით მედიკამენტები დალია. გოგონას შეყვარებული ჰყავდა, მშობლებს კი მისი გათხოვება სხვა, ეკონომიურად შეძლებულ მამაკაცზე უნდოდათ.

„როგორც გითხარით, მშობლებისთვის მთავარია ეკონომიური მდგომარეობა. თუ შეძლებულია, მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეების სათხოვნელადაც რომ მივიდნენ, მშობელი თანხმდება და ათხოვებს. გასულ წელს გვქონდა ასეთი შემთხვევა, 13 წლის გოგონა გაათხოვეს. ამ ასაკიდან იწყება. შარშან 5 გოგო არ გამოუშვეს სკოლაში, გათხოვების მიზნით“, — ამბობს სკოლის დირექტორი.

თვითმკვლელობამდე მიყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115—ე მუხლით დასჯადი დანაშაულია. „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით — ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია, დაეკისრათ თუ არა პასუხისმგებლობა 2013 წელს მომხდარი თვითმკვლელობის საქმეზე გოგონას მშობლებს. მსხვერპლის მშობლებს არანაირი პასუხისმგებლობა არ დაკისრებიათ.

ამ საკითხს გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის წევრი თინა ხიდაშელი.

„განათლებიდან იწყება ყველაფერი. იქ ქალს ორივე მშობელი განათლებაზე უარს ეუბნება, შემდეგ 14 წლისას ათხოვებენ, მერე სულ სახლშია, ბევრი შვილი ჰყავს და მისი საქმე სხვა აღარაფერია. იორმუღანლოში, სადაც 40 000 მოსახლე ცხოვრობს, საბავშვო ბაღიც კი არ იყო ამ ხნის მანძილზე“, - ამის შესახებ საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა თინა ხიდაშელმა კონფერენციაზე „ქალები პოლიტიკაში“ ისაუბრა.

ხიდაშელის განცხადებით, 2012 წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, საგარეჯოს რამდენიმე სოფელში მასთან შეხვედრაზე არცერთი ქალი არ მივიდა. მას შემდეგ, რაც ოჯახებში დაიწყო სიარული, მიხვდა, რომ ამით ქალებს უფრო მეტ პრობლემას უქმნიდა. როგორც თინა ხიდაშელმა განაცხადა, ამის შემდეგ მისი დამოკიდებულება გენდერული საკითხებისადმი უფრო ფაქიზი გახდა.

„მაინცდამაინც გენდერული მისწრაფებები არ გამაჩნია. არ მაწუხებს, რომ ქართული პოლიტიკა დომინირებულია კაცებით, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ქალები. ჩემი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ გენდერულ პრობლემებს ჩემი გადასახედიდან ვუყურებდი, რადგან ქალობის გამო პრობლემა არასდროს შემიქმნია. ვფიქრობდი, მე თუ მივაღწიე, სხვებსაც შეეძლოთ და ეს ყველაფერი გამოგონილი ამბავი იყო. აღმოჩნდა, რომ მთლად ასეც არაა.

2012 წლის არჩევნებზე ძალიან სპეციფიკურ რაიონში მომიხდა საარჩევნო კამპანიის ჩატარება და სწორედ ამ საარჩევნო კამპანიის შემდეგ უფრო ფაქიზი გავხდი გენდერული საკითხებისადმი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ. სამი თვე დავდიოდი თბილისთან ძალიან ახლოს ერთ-ერთ რაიონში. რამდენიმე სოფელში არცერთი ქალი შეხვედრაზე არ მოდიოდა. მერე ოჯახებში სიარული დავიწყე, იქ ვეძებდი ქალებს და მივხვდი, რომ ამ შეხვედრებით უფრო დიდი პრობლემას ვუქმნიდი მათ. პრობლემა არ უნდა ვეძებოთ მამაკაცებში - რას ფიქრობენ ისინი და როგორ უდგებიან ქალების უფლებებს. იორმუღანლოში, სადაც 40 000 მოსახლე ცხოვრობს, საბავშვო ბაღიც კი არ იყო ამ ხნის მანძილზე. აღარაფერს ვამბობ სკოლებზე. სკოლები ბოსლებშია განთავსებული და ისეთი პატარაა, მარტო ბიჭები ეტევიან. გოგოების ადგილი არც არის. ახლა 1000 ბავშვებზე გათვლილ დიდ სკოლას ვაშენებთ. რამდენიმე არასამთავრობოსთან ერთად ორი საბავშო ბაღიც გავხსენით“, - განაცხადა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელის თქმით, ის ახალი პროექტის დაწყებას აპირებს, რომელიც სხვადასხვა პროგრამებში გოგონების აქტიურ ჩართვას ითვალისწინებს.

„მე თვითონ დიდ პროექტს ვიწყებ - 500-მდე ბავშვის, უფრო მეტად გოგონების ამ ტერიტორიიდან მოცილება და სხვადასხვა წრეებში, პროგრამებში ჩართვა გვინდა. როცა გაიზრდებიან, თვითონ გადაწყვიტონ, 14 წლის ასაკში ღირს თუ არა გათხოვება. 14-15 წლის გოგონებს უფრო შევცვლით, ვიდრე ზრდასრულ ქალბატონებს, რომლებსაც ცხოვრების გზა ჩამოყალიბებული აქვთ და ვერც პერსპექტივებს ხედავენ ცხოვრების შესაცვლელად.

კვოტების მიმართ მე არ ვარ მთლად პოზიტიურად განწყობილი. იმიტომ კი არა, რომ მისგან სიკეთე არ გამოდის. არა, გამოდის და ეს ბევრ ქვეყანაშიც გამოჩნდა. უბრალოდ საქართველოში არ გაამართლებს. საქართველოში ეს იქნება ცოლების და დების კვოტები. ამით საკუთარ პოზიციებს გაიმყარებენ ბიზნესმენები, რომელთაც დეპუტატობა მაინცდამაინც არ ხიბლავთ, რადგან ეს თავს მოხვეული ვალდებულება უფროა. ამიტომ პარლამენტში ცოლების, დებისა და დედების მოყვანაზე იზრუნებენ და არც თუ ისე გაუჭირდებათ. აქედან გამომდინარე, კვოტების იდეა დიდად არ მხიბლავს. მხოლოდ კვოტით ეს პრობლემა არ მოგვარდება. თუ პოლიტიკურად გავააქტიურებთ ქალებს, ეს რაღაც მოცემულობად იქცევა“, - აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

ხსოვნა

გიორგი გიეგაშვილი

ჩვენო საყვარელო შვილო, გიორგი, ცხრა წელი სრულდება იმ საშინელი, ტრაგიკული დღიდან, როდესაც შენ სამუდამოდ დაგვტოვე და სამარადჟამოდ შეუერთდი ზეციურ სავანეს. ახლა უფრო მეტად გვენატრები. სიტყვები ვერ გვიპოვია იმ ტკივილის გადმოსაცემად, რომელსაც განვიცდით. შენ ხომ თბილი და კეთილი იყავი. გიორგი, ჩემო საყვარელო შვილო, შენ ყოველთვის ახერხებდი, დიდი სითბო და სიყვარული ყველასთვის თანაბრად გაგენაწილებინა. შვილო გიორგი, შენი გარდაცვალება ჩვენი შეუხორცებელი ჭრილობაა. ვერა და ვერ შეეგუეთ იმ აზრს, რომ ვეღარასოდეს ვიხილავთ შენს კეთილ, სითბოთი აღსავსე სახეს. ძალიან ენატრები მამაშენს, შენს ძმას მამუკას, სულ სითბოთი და სიყვარულით გიხსენებს. თქვენ ხომ კარგი ძმობა გქონდათ. ენატრები შენს ახლობლებს.

24 მარტს მოვალთ შენს წმინდა საფლავზე, დაგინთეებთ სანთლებს, ყვავილებით და ცრემლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს. ჩემო საყვარელო შვილო, გიორგი, შენი სულის საოხად არ გაკლებთ ლოცვას და სანთელ-საკმეველს. მხოლოდ ის გვანუგეშებს, რომ უფალთან ხარ, ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს. ნათელში გამყოფოს უფალმა და დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი მშობლები:
ნოდარი, ვენერა,
ძმა მამუკა გიეგაშვილები.

ხსოვნა

ბაკურ ბაცაცაშვილი



ჩემო საყვარელო შვილო, ბაკურ, 40 გაუსაძლისი დღე გავიდა შენი გარდაცვალების დღიდან, გვენატრები სუყველას. 47 წელი შეგისრულდა 20 თებერვალს, გამწარებული შენი მშობლები ვერ მოვედით შენს საფლავთან, რადგან ორმოცი გადახდილი არ გვქონდა და არ შეიძლებაო- გვითხრეს. ძნელია უშენობა, შვილო, ყოველ საღამოს შენს შემოსვლას ველოდებით ქუჩაში, მაგრამ ამაოდ. ნეტავ განახა, შენი საფიცარი ძმა როგორი გამწარებული დადის. 19 მარტს გისრულდება 40 დღე გარდაცვალებიდან, მოვალთ შენს საფლავთან, სანთლებს დაგინთებთ და უფალს შევევედრებით, რომ ჩვენს მიერ დანთებულმა სანთელმა სასუფეველთან მისასვლელი გზა გაგინათოს და მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი უგედური მშობლები
და საყვარელი ძმა

დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლის 1988 წლის XI^{გ} კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნათელა ნათელაძე მწუხარებას გამოთქვამენ თანაკლასელის

ტარიელ ნატროშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



უახლოესი მეგობრები: გოგიტა ყოჩიაშვილი, სულხან მოდებაძე, გიორგი ლოლაშვილი, ემზარ ვარდაშევი, ვაჟა ოზაშვილი, ზაზა ათანელიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ტარიელ ნატროშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დაკრძალვა სამშაბათს 14 საათზე, სოფ. ხორნაბუჯში, თავისუფლების ქ.N22

„იყავით ქველმოქმედნი და იყავით ჯანმრთელები“...

2014 წლის 4 მაისს სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და უნიკალური ღონისძიება Wings for Life World Run გაიმართება, სადაც ქველმოქმედებისთვის მთელი მსოფლიო გაერთიანდება, საქართველო კი მისი ნაწილი გახდება.

Wings for Life (ფრთები სიცოცხლისათვის) არაკომერციული ფონდია, რომელიც ორიენტირებულია ზურგის ტვინის ტრავმის მკურნალობაზე. ის მხარს უჭერს პერსპექტიულ სამედიცინო და კლინიკურ კვლევით პროექტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

Wings for Life World Run (ფრთები სიცოცხლისათვის-მსოფლიო რბენა) ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და უნიკალური სპორტული ღონისძიებაა, რომელშიც ქველმოქმედებისთვის მთელი მსოფლიო ერთიანდება. ამ მარათონის დევიზი კი ასე ჟღერს: „ ვირბინოთ მათთვის, ვისაც ეს არ შეუძლია“.

მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, სამ მილიონზე მეტი ადამიანი ინვალიდის ეტლს საჭიროებს.130 000 ადამიანი ყოველწლიურად ჯდება ინვალიდის ეტლში, ხოლო საქართველოში 15-18 000 ადამიანი საჭიროებს ინვალიდის ეტლს. ავტოსაგზაო შემთხვევები ყველაზე ხშირად განაპირობებს ზურგის ტვინის ტრამვას.წლების განმავლობაში, საზოგადოებაში არსებობდა სტიგმა, რომ თუ ადამიანი მიეჯაჭვება ინვალიდის სავარძელს, ის ვეღარასოდეს გაივლის, თუმცა სამედიცინო მიღწევებმა აჩვენა, რომ შეიძლება მოხდეს რეგენერაცია ამ უჯრედის და მივაღწიოთ რეალურ შედეგს-აღნიშნა თავის გამოსვლაში სოფელ წინანდალში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბექა გოლეთიანმა.

სეულის ოლიმპიადის მონაწილემ და ამ ღონისძიების ორგანიზატორმა მაია აზარაშვილმა კი უშუალოდ ისაუბრა ამ ღონისძიების დეტალებზე:

4 მაისს საქართველოს დროით 14:00 საათზე 5 კონტინენტის 40 სხვადასხვა ქვეყანაში ასი ათასობით მორბენალი ერთდროულად დაიწყებს რბენას. ამ დროს კალიფორნიაში დილის 3 საათი, ტაივანში საღამოს 6 საათი, ავსტრალიაში და ტოკიოში კი დილის 4 საათი იქნება.

Wings for Life World Run-ის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ არ არის განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს ფინიშის ხაზი. სპორტის ისტორიაში მსგავსი ღონისძიება ჯერ არ ჩატარებულა. ტრადიციული ფინიშის ხაზის მაგივრად იქნება სპეციალური „ფინიშ მანქანა“, რომელიც სტარტიდან 30 წუთში დაიწყებს სვლას და იმოძრავებს წინასწარ დადგენილი სიჩქარით (15 კმ/ს - 20 კმ/ს - 25 კმ/ს). როგორც კი ფინიშ მანქანა გადაუსწრებს მორბენალს, ის ავტომატურად ეთიშება შეჯიბრს.

„მსოფლიო რბენაში“ მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია - როგორც მოხალისე მორბენლებს, ასევე პროფესიონალ სპორტსმენებს (ასაკი 18+). საქართველოში მონაწილეების სავარაუდო რაოდენობაა - 2000-3000, მსოფლიოში კი 200 000-ზე მეტი მორბენალი.

4 მაისი 14:00 - საქართველო, კახეთი, ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით „ფინიშ მანქანის“ დაწევამდე

მსოფლიო რბენის შედეგად 2 გამარჯვებული (ერთი ქალი და ერთი მამაკაცი) გამოვლინდება. ისინი აღიარებულნი იქნებიან Wings for Life World Run-ის გლობალურ ჩემპიონებად და საჩუქრად მიიღებენ ექსკლუზიურ ტურს მსოფლიოს გარშემო. საქართველოს ეტაპის 2 გამარჯვებულს კი შესაძლებლობა მიეცემა მონაწილეობა მიიღოს 2015 წლის რბენაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რომელსაც თვითონ აირჩევს.

მონაწილეებს შორის იქნებიან: ფორმულა ერთის ლეგენდარული მძღოლები Sebastian Vettel da David Coulthard, მოთხილამურე Lindsey Vonn, ბრაზილიელი ფეხბურთელი Neymar, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სირბილში Colin Jackson და სხვა ცნობილი სპორტსმენები - Wings for Life World Run-ის კეთილი ნების ელჩები მთელი მსოფლიოდან.

საქართველოში კეთილი ნების ელჩები არიან: საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი ირაკლი მაჩხანელი, სეულის ოლიმპიადის პრიზიორი სირბილში მაია აზარაშვილი, ინტელექტუალი გიორგი ბაქრაძე, სერგი გვარჯალაძე, სამორი ბალდე, დავით ქაცარავა, ნიკა გრიგოლია. პროექტში აქტიურად არიან ჩართული: კალათბურთელები ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, კოტე ტუღუში; ფეხბურთელები აჩი და შოთა არველაძეები, ლევან კობიაშვილი, ზურა ხიზანიშვილი, გიორგი ლორია; რაგბისტები მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი; ძიუდოისტები ვარლამ ლიპარტელიანი, ადამ ოქრუაშვილი, წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე და სხვა ცნობილი ქართველი სპორტსმენები.

ღონისძიებიდან შემოსული სრული თანხა გადაეცემა Wings for Life-ის ფონდს, რომელიც აწარმოებს სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ. Wings for Life da Red Bull-ის საორგანიზაციო ჯგუფი უზრუნველყოფს ღონისძიების შედეგად შეგროვებული Fulis Wings For Life-ის ფონდში გადარიცხვას EMS (European Merchant Services) საგადასახადო სისტემის გავლით.მონაწილეობის საფასურია 20 (ოცი) ლარი. რეგისტრაცია მიმდინარეობს ვებგვერდზე www.wingsforlifeworldrun.com 2014 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

პროექტის პარტნიორები: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, American Chamber Of Commerce, Outdoor.ge

„იყავით ქველმოქმედნი და იყავით ჯანმრთელები“-ამ მოწოდებით დასრულდა შეხვედრა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ნაირა გორაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს- 70 წლის იუბილეს. გისურვებთ, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მზეგრძელობას, ყოველივე საუკეთესოს თქვენს საყვარელ შვილებთან და საფიცარ შვილიშვილთან ერთად! გისურვებთ, მეუღლის გამოჯანმრთელებას და დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენ ხომ ბავშვობიდან მოვდივართ ერთად.

დაე, კვლავაც განგეგრძოთ თქვენი საყვარელი საქმე და ისეთივე ახალგაზრდულად და მხნედ გეკეთებინოთ, როგორც დღეს.

სიყვარულით, თამილა და გივი ფიროსმანაშვილების ოჯახი

ს ი ა ხ ლ ე !

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.

მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:

579 33 07 41; 555 00 79 16; 557 23 88 99; 790 40 82 15 იკითხეთ თამაზი.

მგზავრთა საყურადღებოდ!

გსურთ, იმგზავროთ იაფად და კომფორტულად? ამიერიდან თბილისი–დედოფლისწყარო –თბილისის მარშრუტით, ყოველ საათში ერთხელ იმოძრავებენ ტაქსები. ქ. თბილისიდან დედოფლისწყაროს მიმართულებით მგზავრობა მხოლოდ 5 ლარი ეღირება. დღის 1 საათიდან ეწვიეთ მეტრო „ისნის“ მოპირდაპირე მხარეს, ყოფილი პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 24.03		სამშაბათი 25.03		ოთხშაბათი 26.03		ხუთშაბათი 27.03		პარასკევი 28.03		შაბათი 29.03		კვირა 30.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
7 °	4 °	8 °	6 °	10 °	9 °	12 °	11 °	10 °	3 °	5 °	3 °	13 °	5 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K